

K 85-737
30v

ජාතික පොදුව
නිර්මාණ සංඛ්‍යාව

K 85.737
30V

ହାତେପଥ୍ୟ
ପାତାର ଧ୍ୟାନିତ
ଧୂରସୋଧିତାରୁ



ସାହଚରଣଙ୍କ ନାମ ଜମଳାଶୁରାହା ଏବଂ ପାତାର ପଥ
ଓ ପାତାର ପଥର ପାତାର ପଥର ପଥର

665.2
საქართველოს სსრ პოლიტიკური და
მიცნობილური ცოდნის განვიზებელი გაზოგადობა



გ ა ნ თ ქ ა უ ღ ი
ე კ ა ნ თ უ ღ ი ღ ვ ი ნ ი ს
ღ ი ა ს ე გ ი ს ა თ ვ ი ს

K 85.732
300

სერია VI
3



01803060
1959

ს ა რ ჩ ი ს 0

ა. ბერიძე — სახელგანთქმული ქართული ღვინის მარკისა და ღირსფისათვის	3
ლ. სულხანშვილი, დ. ნაცელიშვილი — რომ უფრო ჰარმონიული, არომა-	
ტულის იყოს ქართული ღვინო	9
ა. დავითაშვილი — მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ღვინო სამ-	
შობლის	14
დ. გიაშვილი — ადვალგინოვ ნამდვილი, კახური ტიპის ღვინოები	19
გ. გაფრინდაშვილი, ქ. კინწურაშვილი — ასეთია ჩვენი აზრი	24
ი. რცხილაძე, ს. ლომკაცი — ყურძნის ხარისხიანობის ამაღლების ზოგიერთი	
არსებითი საკითხი	27
კ. გელაშვილი — ჩვენი ღირსების საქმე	30
ჭ. პატარაია — ერთხელ კიდევ ქართული ღვინის ხარისხის შესახებ	32
ა. ხელაშვილი — დავრგათ მხოლოდ პირველი ხარისხის ვაზის ნერგი	25



სახელმწიფო ჩართული ღვინის გარებისა და ღირსშებისათვის

პროფ. გ. ბერიძე

ღვინის დაყენების ხელოვნება ძველთაგანვე ქართველი ხალხის საყვარელი დარგი იყო. ეს სიყვარული მარტო ღვინის შინაარსით კი არ იყო გამოწვეული, არამედ ეს დარგი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, საქართველო ითვლებოდა მევენახეობის სამშობლოდ და ხარისხოვანი ღვინის ინტენსიური წარმოების ქვეყნად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI კრილობის გადაწყვეტილებები, შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებენ ჩვენს რესპუბლიკაში ყურძნის ღვინის წარმოების ზრდას 2,5-ჯერ, ვენახების ფართობის გადიდებას 1,9-ჯერ, ღვინის მრეწველობის ახალ მძღავრ აღმავლობას, მეღვინეობის საწარმოებში წარმოების ძირითადი პროცესების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, უახლესი ტიპის მანქანადანადგარების გამოყენებას და პროდუქციის მკვეთრად გაუმჯობესებას.

ღვინის ხარისხის მიხედვით, განსაკუთრებით წითელი და თეთრი სუფრის ღვინოების, შამპანური და ნატურალური ნახევრად ტკბილი ღვინოების წარმოების დარგში, ჩვენ ყველა პირობა გვაქვს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ვიყოთ. თუმცა ეს სიკეთე თავისთავად არ მოვა. ამისათვის საჭიროა თავდადებული და პატიოსანი მუშაობა, ქართული ღვინოების დაყენების წესების გაუმჯობესება ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით, მეღვინეობაში წარმოების ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფა მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა საფუძველზე.

ყურძნის ჯიში, ეკოლოგიური პირობები, მეღვინეობის მიკრორაიონები ღვინოში ზოგიერთ მსგავს თვისებებს იძლევიან, მაგრამ



შათ შორის იგივეობა არასოდეს არ მყარდება. ეს შინაგანი სხვათა
ბანი ყველაზე საინტერესო მოვლენად არის მიჩნეული მეღვინეო-
ბაში. ჩვენი მუშაობის ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს
ნაზი, ჰარმონიული, ბიოლოგიურად მაღალი ნაერთის ღვინის
მიღება.

ექსპერიმენტული მონაცემებით დასტურდება, რომ საჭირო არ
არის კახეთის ზემო და ქვემო მხარის ზონების ყურძნის შერევა,
ვინაიდან პირველი — ზღვის დონიდან 400 მეტრს ზევით იძლევა
დამახასიათებელ ევროპული ტიპის ღვინო-მასალებს, ხოლო მეო-
რეში — 400 მეტრს ქვევით, აშკარად სჭარბობს ისეთი ღვინო-მა-
სალები, რომლებიც კახური ტიპის მაღალხარისხოვანი ღვინოების
დასაყენებლად საჭირო არ არის, და ნედლი მასალის გადამუშავე-
ბის ახლანდელი გაუპიროვნებული სისტემის შენარჩუნებისას ვი-
ღებთ არა ურთიერთგაერთილშობილებას, არამედ წროდუქციის
ხარისხის საერთო გაუარესებას.

უკანასკნელ ხანებში ხელი მიჰყეს ვენახების გაშენებას დაბ-
ლობ და სარწყავ ადგილებში, მაშინ როცა საუკეთესო ფერდობი
ადგილების (ცივ გომბორის მთის კალთები, ჭართლის, იმერეთის
მეენი ახეობის რაიონების სამხრეთი ფერდობები და სხვ.) დიდი
ნაწილი გამოუყენებელია: ცნობილია, რომ დაბლობ ადგილებში
ვაზი ნაკლებად განიცდის მზის სხივების მოქმედებას, და მით უმე-
ტეს, თუ ნაკვეთი სარწყავია; ეს გარემოება განაპირობებს ყურძ-
ნის ტკბილის განზავებას და შედარებით დუნე, უშინაარსო პრო-
დუქციის მიღებას, მართალია, ამ ნაკლის გამოსასწორებლად პირ-
ვილი ნაბიჯები გადადგეს კახეთის, იმერეთის მევენახეობა-მეღვი-
ნეობის ძირითად რაიონებში, მაგრამ ეს სამუშაო ჯერ კიდევ
არასრულყოფილად წარმოებს. მრავალი წლის გამოცდილება
გვიჩვენებს, რომ ქართულ ღვინოებს მაღალ ლირისებას აძლევდა
ფერდობ ადგილებზე გაშენებული ვაზი. ამასთანავე დიდი ყურად-
ღება უნდა მიექცეს ვაზის ჯიშთა სპეციალიზაციას ცალკეული
ზონების მიხედვით, ვინაიდან ცალკეული ვაზის ჯიში ამა თუ იმ
რაიონში დამახასიათებელ ღვინოს იძლევა.

ჭართული ღვინოების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავში-
რებით სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგროტექნიკურ
ლონისძიებათა გავლენას ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი მეღვი-
ნეობის პროდუქციის თვისებებზე; გამოკვლევებიდან ჩანს, რომ

ვაზის ძლიერი დატვირთვის დროს ყურძნის მტევნის შემაღებელი ნაწილებში მთრიმლავ ნივთიერებათა ოდენობა ჭარბია, რაც ტიპური მხარეების მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს ღვინის ტიპიურობაზე; დატვირთვის სისუსტესთან ერთად პროდუქტში მატულობს სპირტიანობა, ხოლო მეავიანობა მცირდება. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სპირტის შემცველობა დარგვის სიხშირის უკუპროპორციულია, ტანიდების, ტიტრული მეავის, ღვინის მეავის შემცველობა კი კვების არის სიდიდის პირდაპირ პროპორციულია. ამიტომ საჭიროა ყურადღება მიექცეს ვაზის სიხშირის გასხვლა-ფორმირების და ორგანულ-მინერალურ ნივთიერებათა გამოყენების სისტემას.

ქართული ღვინის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული რთველის დროულად და ხარისხოვნად ჩატარებაზე, ამინდზე, მტევნის სისალეზე, ყურძნის გადამუშავების ტექნოლოგიური წესის სიზუსტეზე, ღვინის დაყენებისა და მოვლის წესზე. მოკრეფილი ყურძნის ხარისხის მიხედვით შეიძლება თავიდანვე განისაზღვროს ღვინის მომავალი ღირსება.

ღვინოს არასასიამოვნო გემოს ნაცრისფერი სიდამპლე აძლევს. არასასიამოვნო გემო ახლავს აგრეთვე ჭრაქითა და ნაცრით დაზიანებული ყურძნისაგან დაყენებულ ღვინოს. ნაცარი ცუდ გაფლენას ახდენს ღვინის გემურ თვისებებზე, ღვინო ძნელად იშმინდება, დასაძველებლად უგარგისია და ნაკლებად უძლებს დაავადებას.

ქართული ღვინის ძირითადი ტიპების დუღილისა და შენახვისათვის ქვევრების გამოყენება დღესაც ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს მეღვინეობის ძირითად რაიონებში, წვრილ მეურნეობებში კი ისინი ერთ-ერთ სადუღარ ჭურჭელს წარმოადგენ. ქვევრში დუღილი უზრუნველყოფს საფუვრის მუშაობისათვის საჭირო მუდმივსა და ხელშემწყობ ტემპერატურას. პროდუქციის შემდგომი შენახვისას ვითარდება მისი მაღალი ხარისხი და ტიპიურობა, ინტენსიური შეფერილობა, ნაყოფის ძლიერი არომატი და კეთილშობილური სინაზე. ამის გამო საჭიროა მხარი დავუჭიროთ ქვევრის მეურნეობის შენარჩუნების საკითხს. ყოველ შემთხვევაში იმ დრომდე, სანამ ღვინის დაღულება და დაძველების წარმოების სხვა წესები წაყენებულ მოთხოვნებს არ გაამართლებენ.

საფუვრებთან ლვინის უფრო ხანგრძლივი კონტაქტი მწყიდვებულოვნად აუმჯობესებს ლვინის გემოვნებითს თვისებებს და მარტივობას ნობლად აჩქარებს პროდუქციის დამწიფების პროცესს. ჭავიდან ნააღრევად (ნოემბერი-დეკემბერი) ხოხების ლირსებით უფრო მდარეა, ვიდრე ჭავაზე (თებერვალი-მარტი) გაჩერებული ლვინოები. პირველ პერიოდში პროდუქტი არაპარმონულია, მეორე პერიოდში კი მისი ხარისხი უმჯობესდება, ლვინო გამჭვირვალე და კახური ტიპის თეთრი სუფრის ლვინისათვის დამახასიათებელი თვისებებისა დგება.

ქართული ეკროპული ტიპის სამარკო სუფრის ლვინოები ზოგჯერ მიღრეკილებას იჩენენ ლვინის გაშავებისადმი, სიმღვრივისადმი, არატიპიური შეფერვისადმი და ზოგჯერ დაბალი გემოვნებითი თვისებებით ხასიათდებიან. მთელ რიგ მარკებს (ქართული ლვინი № 8, 23, 6, 10 და სხვ.) არ გააჩნია დამოუკიდებელი სახე, სპეციფიკური ნიშანთვისებანი და მდგრადობა, რომელიც წარმოადგენს ყოველი მარკის, თუ ერთადერთის არა, ყველაზე უფრო საჭირო ლირსებას. ეს გარემოება იწვევს ფართო მომხმარებლის დეზორინგტირებას. ჩვენს მომხმარებელს ხშირად ვაწვდით მეტად არამსგავს სხვადასხვა შინაარსის ლვინოებს. აღნიშნულ ნაკლოვანებათა მთავარი მიზეზია (არადამახასიათებელ ამინდის პირობებში) მაღალხარისხოვანი ლვინოების სარეზერვო ფონდების უქონლობა. ორდინარული ლვინოების ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭიროა ლვინოების დაკუბაცებისა და ჩამოსხმის ცენტრალიზაცია სტანდარტული პროდუქციის გამოშვების მიზნით.

ევროპული წესით ლვინოების წარმოების ახლანდელი ტექნოლოგიით კასრებში სამწლიანი დაძველება ყოველთვის როდე ამართლებს თავის დანიშნულებას. იგი ხშირად იწვევს პროდუქციის ტანიდებით ზედმეტად გამდიდრებას და ამცირებს კონდიციურ შეფერილობას. ჩვენი აზრით, საჭიროა მთელ რიგ შემთხვევებში ვაწარმოოთ კასრებში ორწლიანი დაძველება ლვინის დაბუშავების კომბინირებული მეთოდის გამოყენების შემწეობით.

მეღვინეობის საწარმოთა მიერ ახალი ტექნოლოგიით გათვალისწინებული არ არის რესპუბლიკის მრავალი ადგილის (მეჯუდის, ატენის, არაგვის, ქსნის, თებამის, ჩხერიმელას, ძირულის ხეობების) ნაზი ლვინოების მასალის უდიდესი რესურსების გამოყენება, რომლებიც საკუპაჟე ლვინოების გაკეთილშობილებისათვის

არის გამოსაღები. ეს პირველ რიგში შეეხება ზემო ქართლის სამხრეთ ოსეთის, ზემო იმერეთის, გარე კახეთის და მთაშენებლების ზონას, რომლებიც იძლევიან საუკეთესო საკუპაჟე მასალებს ნაზი სუფრის ღვინის წარმოებისათვის.

საჭიროა შეიქნას ქართული მსუბუქი სუფრის ღვინოების ფართო ასპარეზი ენისელის, ხიდისთავის, თეხო-ოკამის, ჩიხის მიკრო-რაიონებში ჩინურის, თავკვერის, ოცხანური საფერავის, რქაწი-თელის ჯიშების ხარჯზე, რაც დააკმაყოფილებდა მომხმარებელთა სამართლიან მზარდ მოთხოვნილებას.

ქართული ორდინარული სუფრის ღვინოები ხშირად არატიპურია. მომხმარებელი მას ნაკლებ პატივსა სცემს. ქართული ღვინო № 8 ხშირად ძლიერ დაშორებულია ქახური ღვინის თავისებურებას; მას ჩაის ნაყენის ფერის ნაცვლად მოვარდისფრო ფერი აქვს. აუცილებლად უნდა აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის სიამაყე—ქარდანახის და გურჯაანის ქახური ტიპის თეთრი სუფრის ღვინო.

ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა, თუ ქართული სამარკო ღვინოები (წინანდალი, მუკუზანი, გურჯაანი, თელიანი, ტიბაანი და სხვ.) ჩამოისხმებოდა იქ, სადაც მათ სათანადო დაძველება და ტექნოლოგიური დამუშავება გაიარეს; ეს ღონისძიება, ერთი მხრივ, ვაზრდის მეღვინე სპეციალისტების პასუხისმგებლობას ღვინის ხარისხე და, მეორე მხრივ, თავიდან ავიცილებთ იმ უარყოფითს შედეგებს, რომლებსაც ვხვდებით დასაძველებელი ღვინოების ტრანსპორტირების დროს, კერძოდ, ღვინო, რომელმაც გაიარა სამწლიანი დაძველება ქასრებში, განივითარა დამახასიათებელი სიძეველის ბუკეტი, გემო და შეფერვა, მეტად ნაზია და ტრანპორტირებისას შესაძლებელია მან იოლად დაკარგოს მაღალი ქიმიური საგემოვნო თვისება. არის შემთხვევები, რომ ეს ღვინოები წინანდალში, მოსკოვში, რევვის ბაზებზე და სხვა ობიექტებზე ღია ცის ქვეშ აწყვია, გადატანა წარმოებს ღიღი ტევადობის ჭურჭლით, რომელთა შევსება-გადალების დროს ხდება დაუანგვის პროცესები. ყოველივე ეს აუარესებს ღვინის ღირსებას. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ „ქართული ღვინო № 1—წინანდალი“— წინანდალში სხვა არის, ხოლო მოსკოვში ჩამოისხმული სხვა.

შეღვინების დარგის მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიზანშეწონილია სამწლიანი სკოლის დაარსება. აქ წარჩოების



შუშები დასტატდებიან და დაეუფლებიან მეღვინეობის განვითარების რების თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს.

გულისტყივილით უნდა აღინიშნოს, რომ ახალ ქარხნებში სათავსები საკმარისი არ არის. ამის გამო ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუღილი და ღვინოების დაყოვნება რეალიზაციამდე ლია ცის ქვეშ ხდება. ეს თავის მხრივ აუარესებს პროდუქციის ხარისხს. საწარმოთა სიმძლავრე ჯერ კიდევ ჩამორჩება ნედლეული ბაზის ზრდას. დროა ხელი მოვკიდოთ საკოლმეურნეო მარნების მშენებლობას.

ამ ბოლო დროს შემჩნეულია ღვინის ფალსიფიკაციის შემთხვევები. უღირსმა აღამიანებმა ხელი მოჰკიდეს ხელოვნური ღვინის დამზადების საქმეს და ჩირქს სცხებენ ქართული ღვინოების ღირსებას. აუცილებელია გადაჭრით გავაძლიეროთ ბრძოლა და ავტოგრძო ღვინის ფალსიფიკატორები. „ღვინო მარტო იმასა ჰქვიან, რაც მარტო ყურძნის წვენისაგან კეთდება“, — ამბობდა ილია ჭავჭავაძე.

სკპ XXI ყრილობამ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიადი პროგრამა დაგვისახა. ამ პროგრამის განხორციელებაში სერიოზული წვლილი უნდა შეიტანონ სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. კერძოდ, ჩვენმა მეღვინეებმა უნდა იზრუნონ ქართული ღვინოების ხარისხის გადაჭრით ამაღლებისათვის.

მივცეთ სამშობლოს საუკეთესო ხარისხის ქართული ღვინო!

გაზ. „კომუნისტი“, 1959 წ. 26 მარტი

რომ უფრო პაროლი უშლი, არომატული იყოს ჩართული ღვინო

ნ. ხულხანიშვილი

შებალეობის, შევენახეობისა და შეღვი-
 ნეობის ინსტიტუტის თელავის საცდელი
 სადგურის დირექტორი

დ. ნაცვლიშვილი

ტექნოლოგის განყოფილების
 გამზვ

მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი კუთხე, სადაც
 მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი ღვინოების დაყენება შე-
 იძლებოდეს ისე, როგორც საქართველოში-

ქართველი ერის ისტორიული წარსული, მისი ყოფაცხოვრება,
 კულტურა, ზნე-ჩვეულებანი და ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავ-
 შირებული მევენახეობა-მეღვინეობასთან. ფართოდ გადაშლილი
 ვენახების მასივები, სამამულო ტექნიკით აღჭურვილი კეთილმოწ-
 ყობილი ღვინის ქარხნები და სარდაფები დიდი პატრიოტული
 სიამაყის გრძნობებს იწვევს ჩვენში.

საქართველოში შეიძლიანი გეგმით მევენახეობა-მეღვინეობის
 განვითარების საქმეში დიდი პერსპექტივებია დასახული. ვენახის
 ფართობი გაიზრდება 1,9-ჯერ, ყურძნის მოსავლიანობა — 2,2-ჯერ
 და ღვინის წარმოება — 2,5-ჯერ.

ქართველი ხალხის უდიდესი სიყვარული გაზისა და ღვინისად-
 მი, მისი პატრიოტული დარაზმულობა და კომუნისტური პარტი-
 ისა და საბჭოთა მთავრობის სისტემატური მზრუნველობა და დახ-
 მირება უდავოდ განაპირობებს ამ გრანდიოზული ამოცანების
 წირმატებით შესრულებას.

საქართველოს მევენახეობას წმინდა მეღვინეობის მიმართულე-
 ბი აქვს. ღვინო ამ დარგის პროდუქციაა. ამიტომ ყოველი გატა-
 რებული ღონისძიება უნდა ითვალისწინებდეს მისი ხარისხის დაც-
 ვისა და შემდგომი ამაღლების ამოცანას.

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ყოფილი გის არის აყვანილი პრიციპულ სიცალლეზე. როგორც ჭრის ლვინის ხარისხისა და მელტინეობის მიმართულების საფუძველი ვენახშივე წყდება. ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში ყურძნის მაღლი მოსავლიანობის გამოღვნება ისე, რომ უგულებელყოფილ იქნას ლვინის ხარისხი, დიდად საზიანოა, ამ გზით დავკარგივთ ჩვენი ერის ისტორიულ და თანამედროვე სიამაყეს.

ცნობილი გახდა, რომ უკანასკნელ პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის ლვინოებმა მრავალ საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ დეგუსტაციაზე ჩვეული საბატიო იდგილი ვერ დაიკავა. განსაკუთრებით ვერ ისახელა თავი სუფრის თეთრმა და წითელმა ლვინოებმა, რომლითაც წინათ მრავალჯერ უამაყნია ჩვენს დედა-სამშობლოს.

ჩვენი რესპუბლიკის სამარკო და ორდინარულ ლვინოებს ფრიად განვითარებული გემოვნების მომხმარებლები ჰყავს. ხვანჭებარას, წინანდალს, ნაფარეულს, გურჯაანს, მუქუზანს და სხვა ლვინოებს საბჭოთა კავშირში იცნობენ. ამიტომ სავსებით მართალია პროფესორი გ. ბერიძე, როდესაც აღნიშნავს, რომ „ჩვენ მომხმარებელს ვაწვდით მეტად არამსგავს სხვადასხვა შინაარსის ლვინოებს“ და დასძენს, „ეს გარემოება წიწვევს ფართო მომხმარებლის დეზორინგტირებასო“.

ყოველი გამოშვებული ლვინის პარტია, წორდინარული იქნება ის თუ სამარკო, უნდა იყოს დაახლოებით ერთგვაროვანი. ამისათვის კი საჭიროა კარგი ნიმუშების შენახვა, მათი ეტალონებად გამოყენება და კუპაუების მასთან მიახლოება. ამიტომ წამოშვებულ უნდა იქნას ისეთი სამარკო და წორდინარული ლვინოები, რომ აკმაყოფილებდეს ფართო მომხმარებელთა მოთხოვნილებას. ა

დასწული ამოცანების მიღწვევისათვის საჭიროდ მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ყურძნი თავიდანვე დაჯგუფდეს და გადამუშავდეს ზონების, მიკრორაიონებისა და ზოგჯერ ცალკეული მიკროუბნებისა და ადგილების მიხედვით, რათა ნედლეულმა ბუნკერამდე მიიღოს მიმართულება. ამ ამოცანის შესრულებისათვის უნდა გამოვიყენოთ მეცნიერული კვლევის ფართო მონაცემები, საკუთარი პრაქტიკულ დაკვირვება და მდიდარი ისტორიული წარსული.



უნდა მოვახდინოთ ლვინის წარმოების სპეციალიზაცია, აგრძელებული საშუალებას მოგვცემს უფრო სრულყოფილად გამოვიყენოთ. ტექნიკური ნიკა და მეცნიერული მიღწევები. გაუმართლებლად მიგვაჩნია ის მაგალითი, რომ შემაგრებული-სადესერტო ლვინოები მზადდებოდეს ნაფარეულში, წინანდალში, მუკუზანში, ასევე მარტო კახური ლვინოები მზადდებოდეს ტიბაანში, წნორში და სხვ.

ლიკვიდირებულ უნდა იქნეს მეღვინე-ტექნოლოგთა ხშირი ცვალებადობა, პასუხისმგებელი ტექნოლოგი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანილ უნდა იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მოამზადებს თავის შემცვლელს. ასევე ახლად კურსდამთავრებული მეღვინე-ტექნოლოგები გაგზავნილ არ უნდა იქნან დამოუკიდებელ სამუშაოზე მანამ, სანამ არ გაივლიან 3—5-წლიან წრთობას წინანდლის, კარდანახის, ვარციხის, გურჯაანის და სხვა წარმოებებში.

გადასინჯულ უნდა იქნას დებულება ქართული ლვინოების კონდიციებისა და ტექნოლოგიის შესახებ სპეციალისტთა ფართო მონაწილეობით.

პროფესორი გ. ბერიძე მართებულად აყენებს ლვინის დაძველების ხანგრძლივობის საკითხისადმი შემოქმედებითად მიღონმის ამოცანას. ამაში არ შეიძლება ვეურდნობოდეთ ეგრეთ წოდებულ სტანდარტებს და ვიჩენდეთ კონსერვატიზმს. შეიძლება ითქვას, რომ ყველა წლის მოსავლის ევროპული ტიპის ლვინოების მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სამწლიანი დაძველება. ასევე შეიძლება ითქვას ცალკეული ადგილისა და ვაზის ჯიშის ლვინოების მიმართაც.

ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ენისლისა და ნაფარეულის ლვინოები უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე გურჯაანისა და, თუ გნებავთ, წინანდლის ასეთივე ლვინოები. ასევე პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ 1945 და 1946 წლების მოსავლის ევროპული ტიპის ლვინოები მწიფდება ორ წელიწადში, მაგრამ 1944 და 1947 წლების მოსავლის ამავე ტიპის ლვინოებისათვის საჭირო ხდება სამწლიანი დაძველება.

ბუნებრივ მოვლენებთან ერთად ჩვენს ხელთ არის ლვინის ბიოქიმიისა და ტექნოლოგიის თანამედროვე მეცნიერული მეთოდები და თეორიული საფუძვლები. ყოველივე ამით ჩვენ შეგვიძლია ლვინის დამწიფების დაჩქარება ხარისხის ამაღლებასთან ერთად,



ამით კი შევამცირებთ დანახარჯებსა და დანაკარგებს, გავჭროთ უნდა შრომის ნაყოფიერებას. სამარკო ლვინოების ჩამოსხმა უნდა ხდებოდეს დაძველების აღგილზე, რითაც აღმოვფხვრით გაუპიროვნებასა და უპასუხისმგებლობას, თავიდან ავიცილებთ ზედმეტხარჯებს, დანაკარგებს და შევინარჩუნებთ ძვირფას ტარას შემდგომი წლების ლვინოების გამოსაყვანად.

შეუსაბამოდ მიგვაჩნია ყურძნის პირველადი გადამუშავება ვაწარმოთ იქ, სადაც ხდება ლვინის დამწიფება-დაძველება და ჩამოსხმა. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ რაგინდ გულისყურიანი ტექნოლოგიც უნდა მუშაობდეს წარმოებაში, როვლის პერიოდში მაინც სუსტდება ყურადღება საძველებელი ლვინოებისადმი. მელვინოების პირველადს საწარმოებში განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ლვინო-მასალების ბუნების შესწავლას, გათს მიზანშეწონილ დაჯგუფებას და ტექნოლოგიური დამუშავებისას მივუდეთ დიფერენცირებულად.

პირველად ტექნოლოგიურ მანიპულაციათა მიზანშეწონილი გატარება ერთ-ერთი ფაქტორია ლვინის ხარისხიანობის საქმეში. სწორედ პირველად ტექნოლოგიაში დაშვებულ შეცდომებს უნდა მიეწეროს ისეთი მოვლენა, როდესაც „წინანდალი № 1“ ჩამოსხმის შემდეგ აიმღვრა და მიზეზების რკვევისას მასში აღმოჩნდა საფურის გააქტივებული ორგანიზმები.

ისტორიულად ცნობილი ადგილებიდან, ან ახლად გამოვლინებული ბიკროუბნებიდან გულდასმით უნდა შევარჩიოთ და დავკრიფოთ ყურძენი, გადავამუშაოთ ტექნოლოგიურ მანიპულაციათა ზუსტად დაცვით და შევქმნათ უნიკალური ლვინოების ნიმუშები. ამით არა მარტო ვისახელებთ თავს მრავალ საერთაშორისო დევუსტაციაზე, არამედ მათ გამოვიყენებთ ქართული ლვინოების ხარისხის ამაღლებისათვის.

ორდინარული ლვინოებისათვის უნდა შეიქმნას სპეციალიზებული ქარხნები, რომლებიც აღიჭურვება საჭირო მანქანადანადგარებით და დიდი ტევადობის საკუპაეუ ბუტების კომპლექსით (5.000 ჰექტოლიტრი). ასეთ წარმოებაში შესაძლებელი გახდება მაქსიმალური დატვირთვით მუშაობა, ლვინის დამუშავებისა და გამოშვების დახურულ-ნაკადური მეთოდის დანერგვა, ავტომატიზაციის განხორციელება და, რაც მთავარია, ლვინის ერთგვარობის დაცვა და მისი ხარისხის შემდგომი ამაღლება.



ამა თუ იმ წლის მოსავლის, გაზის ჯიშის თუ კუპაჟის სამიზნები
და ორდინარული დვინის საუკეთესო ეგზემპლარები უნდა ჩაშო-
ისხას განსაზღვრულ ღდენობით და შენახულ იქნას ადგილებზე.
ამ ნიმუშებზე დაკვირვება მოგვცემს მეცნიერულ გაერთიანების და სა-
თანადო საფუძვლებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის,
იგრეოვე დაგვეხმარება კადრების აღზრდის საქმეში.

საქართველოში მეცნახეობა-მელვინეობის დარგის მრავალი გა-
მოჩენილი მუშაკია, საკმაოდ ძლიერია ამ დარგის სამეცნიერო ძა-
ლები. პროფესორ გ. ბერიძის მიერ ამოცანის პრინციპულ სიმაღ-
ლეზე დაყენება და „კომუნისტის“ რედაქციის მოწოდება ფრიად
სასარგებლო მოვლენაა ამ დარგის ქარისხობრივი მაჩვენებლების
ჯეროვან სიმაღლეზე აყვანის საქმეში. ჩვენ ვაყენებთ ზემოთ ჩა-
მოთვლილ წინადადებებს და ვფიქრობთ, რომ ამით უფრო პარმო-
ნიულს, არომატულს გავხდით ქართულ ლვინოებს.

გაზ. „კომუნისტი“ 1959 წ. 8 აპრილი

მეტი და მაღალხარისხოვანი ძართული ღვინო საგვირობლოს

ა. დაგითაშვილი

საქართველოს კა გურჯაანის რაიონის
პირველი მდიგანი

ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი ინტერესი გამოიწვია პროფესორ გ. ბერიძის წერილმა „სახელგანთქმული ქართული ღვინის მარკისა და ღირსებისათვის“, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტის“ მიმღინარე წლის 26 მარტის ნომერში. გურჯაანელი მევნენახები და მეღვინები მუშაობენ რა მშობლიური კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განუხრელად შესრულებისათვის, ყოველი ღონისძიებით ცდილობენ მევნენახეობიდან მიღებული პროდუქციის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად მიაღწიონ მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებასაც, მისცენ საბჭოთა ხალხს მეტი და მიღლხარისხოვანი ღვინო.

პროფესორი გ. ბერიძე თავის წერილში ბევრ სასარგებლო და საინტერესო მოსაზრებას აყენებს ღვინის ხარისხის შემდგომი გაუშვებესებისათვის. ის აზრი, რომ ღვინო საღაც ძველდება [მისი ჩიმოსხმაც იქვე უნდა წარმოებდეს, სწორი და სასარგებლოა.

გურჯაანის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები და მათ შორის მევნენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტები ყოველთვის გულმოდგინედ სწავლობენ და პრაქტიკულადაც იყენებენ მეცნიერთა რჩევა-დარიგებას. მნიშვნელოვანწილად ამან განაპირობა რაიონში უკანასკნელი წლების მანძილზე მოპოვებული წარმატებანი. მაგრამ ამჯერად პროფესორ გ. ბერიძის წერილში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. ამას ვამბობთ ჩვენი მევნენახებისა და მეღვინების მრავალი წლის პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე.



პირველ რიგში გვინდა შევეხოთ იმ საკითხს, თუ სად ბრინჯაობესი გავაშენოთ ვენახები, ცივგომბორის მთის კალფეზე მოყვავა ურწყავ ნაკვეთებში თუ ალაზნის ველის სარწყავ ზონაში? ფერ-დობებზე გაშენებული ვენახები მართლაც ყველაზე მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევა, მაგრამ ვფიქრობთ ამასთან ერთად გა-სათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: ავილოთ თუნდაც კა-ხეთის და, კერძოდ გურჯაანის რაიონის მაგალითი. ჯერ-ერთი, სავენახედ ვარგისი ფერ-დობები ძირითადად ათვისებულია: ამას-თან ასეთ ადგილებზე გაშენებული ვენახის დამუშავება ძნელდება, რადგან საამისო არალ-მანქანები ჯერჯერობით ნაკლები გვაქვს.

ამით იმის თქმა როდი გვინდა, რომ პროდუქციის ხარისხობ-რივ მაჩვენებელს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს. მეცნიერებისა-ვან სწორედ იმას მოვითხოვთ, რომ შეიმუშაონ უფრო ეფექტიანი ლონისძიებანი დაბლობ და სარწყავ ადგილებში მაღალხარისხოვა-ნი ყურძნის მოყვანის უზრუნველყოფისათვის. კონკრეტულად რომ ვთქვათ, საჭიროა ჩვენი რაიონის წაბლობ ზოლში, კერძოდ სო-ფელ ჩუმლაყიდან სოფელ კარდანახამდე, გაუმჯობესდეს ნიადაგის სტრუქტურა და მოსცილდეს მას გრუნტის წყლები. რაც შეეხება ვენახების რწყვას, ეს ჩვენ ერთ-ერთ აუცილებელ და წილიად სა-სარგებლო აგროტექნიკურ ლონისძიებად მიგვაჩნია, თუ იგი გამო-კვენებულ იქნება გარკვეულ პერიოდებში, სახელდობრ, ყურძნის სიმ-წიფეში შესვლამდე, როცა ნიადაგი წყლის სიმცირეს განიცდის.

დასახულია ამოცანა, რომ საქართველოში შეიღწლედის ბო-ლოსათვის ყურძნის მოსავალი გაიზარდოს 2,2-ჯერ. მევენახეობის ძირითადი რაიონები კახეთში საკმაოდ გვალვიანია, და თუ არა-ხელოვნური რწყვით, სხვა რა ხელმისაწვდომი ლონისძიებით შეგ-ვიძლია ყურძნის მოსავლიანობის გადიდება? უფრო მეტიც, მევე-ნახეები მოითხოვენ კიდევ უფრო გაფართოვდეს სარწყავი ქსელი, და ეს მოთხოვნა სამართლიანია. კაჭრეთის ზონის საკმაოდ დიდი სავარგულები, რომლებიც ახლა ჩვენს რაიონში შედის, სავენახედ საუკეთესოა, თუ მორწყვის საშუალება გვექნება. ამ ზონაში მევე-ნახეობის ჩამორჩენას პირველ რიგში სწორედ მცირე ნალექები და ხშირი გვალვები იწვევს.

პროფესორი გ. ბერიძე თავის წერილში ამბობს: „ვაზი ძლიე-რი დატვირთვის დროს ყურძნის მტევნის შემაღენელ ნაწილებში მორიმლავ ნივთიერებათა ოდენობა ჭარბია, რაც თავის მხრივ



უარყოფით გავლენას ახდენს ღვინის ტიპიურობაზე". ჩვენ არ გვეპარება ამ აზრის ჰეშმარიტებაში, რაც მეცნიერული კვლევით არის დადასტურებული. მაგრამ ამ აზრს შემდგომი განვითარება ესაჭიროება, რათა ხელი არ ავილოთ ვაზის მაღალ დატვირთვაზე, რაც ყურძნის მოსავლიანობის ზრდის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას წარმოადგენს. აუცილებელია მეცნიერები დაინტერესდნენ და გადაჭრან ის საკითხიც, თუ როგორ შეიძლება მაღალხარისხოვანი ყურძნის მიღება ვაზის მაღალი დატვირთვის პირობებში.

ცნობილია, რომ ველისციხის ზონა დღემდე ითვლებოდა დაბალი ხარისხის ღვინომასალის მომცემ მიკრორაიონად და მეღვინეები ურჩვდენ ამ ღვინოების გამოყენებას საკონიაკე სპირტის გამოსახდელად. უკანასკნელ წლებში ველისციხის ღვინის ქარხანაში მზადდება საუკეთესო ხარისხის № 3 და № 23 ღვინომასალა, რომელიც მშრომელთა საერთო მოწონებას იწვევს. კამასთან ეს ღვინო მიღებულია სოფელ ველისციხის კოლმეურნეობათა იმ სარწყავი ვენახების ყურძნიდან, რომელმაც ჰეტარზე მეტად დიდი მოსავალი მოგვცეს. აქედან ცხადი ხდება, რომ ღვინის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული თვით მეღვინეზე, რომელიც დაინტერესებული უნდა იყოს მაღალი ხარისხის ღვინის დაყენებით.

სელექციონერების მუშა დღემდე გაწეულმა მუშაობამ ავადყოფობათა გამძლე ვაზის ჯიშების შექმნისათვის ჯერ კიდევ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. კარგი წიქნება, რომ მეცნიერები გააძლიერებდნენ მუშაობას ვაზის არსებული ჯიშების სრულყოფის და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ჟეფეტურ ღონისძიებათა შემუშავებისათვის. რატომ არ შეიძლება ერთი წამლობით დაავადებებისა და მავნებლების — კერძოდ ყურძნის ჭიის საზიანო მოქმედების აღკვეთა? ამასთანავე ვფიქრობთ, რომ ძლიერი დატვირთვის შემთხვევაში სასუქების გამოყენების მტკიცე რეზიმთან ერთად აუცილებელია ვაზს მიეცეს მაღალი შტამბი, გაიშვას ოთხწვერ შპალერზე მაიც, განსაკუთრებული გულისყრით ჩატარდეს წამლობა და მწვანე ოპერაციები, რათა ვეგეტაციის მთელ პერიოდში მცენარეს ჰქონდეს აერაციისა და მზის სხივებით სარგებლობის საუკეთესო პირობები, არ გაუჩნდეს დაავადებანი და არ დააზიანოს მავნებლებმა.

ამ მხრივ ჩვენს რაიონში უკვე აქვთ ერთგვარი გამოცდილება

სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტურნეობის ტური შრომის ბრიგადას, რომელსაც მ. მარჩილაშვილი ხელშეძლებული ვანელობს. ამ გამოცდილებას რაიონის სხვა კოლმეურნეობებშიც ვნერგავთ. ვაზის ძლიერი დატვირთვისას ყურძნის მაღალ ხარისხსაც თუ მივაღწიეთ, რაც სავსებით შესაძლებელია, რით იქნება შისგან დაყენებული ღვინო სხვა ღვინოებზე ნაკლები?

უდავოა, რომ ღვინის ხარისხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ და რა პირობებში მოეწყობა ყურძნის გადამუშავება, აგრეთვე ღვინომასალის დამუშავება. ყურძნი უნდა იკრიფებოდეს ცალ-ცალქე. ცალქე მაღალი ხარისხისა და ცალქე შედარებით დაბალი ხარისხისა, რასაც, სიმართლე რომ ითქვას, დღემდე საჭირო ყურადღებას არ ვაქცევთ. ჩვენი აზრით, დაავადებული მტევნები არ უნდა გადამუშავდეს ღვინომასათვის, ისინი შეიძლება გამოვიყენოთ ნედლი სპირტის დასამზადებლად, ხოლო შედარებით ნაკლებშაქრიანი ყურძნიდან შეიძლება დავამზადოთ მაღალხარისხოვანი ყურძნის წვენი, რომელიც უაღრესად სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამ საფუძველზე ჩვენ დავასკვნით, რომ ყურძნიდან უნდა მივიღოთ არაერთი ჭახის, არამედ მრავალი სახის პროდუქცია. ყურძნის წარმოების გადადების საშუალებანი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

ამასთან ყურძნის საკრეფად ჯერ კიდევ ბევრგან იყენებენ ლითონის ჭურჭელს, რაც უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე. ყურძნის გიდამუშავებაც კი ხდება ისეთი მანქანებით, რომლებსაც შავი ლითონის დეტალები აქვს. აგრეთვე სასარგებლო იქნება, თუ ხმარებიდან გამოვა რეინა-ბეტონის ბუტები. საჭიროა რკინა-ბეტონის ნაცვლად მასობრივად დამზადდეს მომინანქრებული აუზები, უჯანგავი ნივთიერებებით დაიფაროს აგრეთვე ტექნიკური დანადგარები. მტკიცნეულად დგას აგრეთვე ღვინის ქარხნებში სათავსების საკითხი. ტკბილის დუღილი და ღვინომასალის შენანვა მეტწილად ღია ცის ჭვეშ ხდება, სადაც ძნელდება ტემპერატურის დაცვა და თანაც ადგილი აქვს დიდ დანაკარგებს. უკანასკნელ წლებში მეღვინეები გაიტაცა ღვინის გამოსავლანობის მაღალმა პროცენტმა. ქარხნებს ეძლევათ გეგმა — მიიღონ 69—70 პროცენტი ღვინო, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ღვინის ხარისხზე. გეგმის შესრულებისათვის ქარხანა იძულებული ხდება ზედმეტად გამოქაჩოს ჭახის და ლუმიც კი, ყოველივე ამას ზიანი



მოაქვს ხარისხოვანი მელვინეობისათვის. ჭაჭაპა და ლექში შემცირებული სპირტის მიღება ხომ მათი გამოხდით შეიძლება. ამჟამად ხელმწიფოს დანაკარგები არ ექნება.

ქართული ღვინოების ტექნოლოგია, რომელიც უცვლელად რჩება როგორც შაბლონი, შემუშავებულია დიდი ხნის წინათ. ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა საკვლევმა დაწესებულებებმა ხელი მოჰკიდონ ღვინის ტექნოლოგიის შემდგომ სრულყოფას. ნაყოფის გადამუშავების დროს ზოგჯერ სხვადასხვა ხარისხის ყურძენი ერთ ბუნკერში იყრება, რაც უარყოფითად მოქმედებს ამა თუ იმ მარკის ღვინოზე.

მევენახეობა-მელვინეობის დარგის მუშაკთა ვალია დაიცვან და კიდევ უფრო გააუმჯობესონ ღვინის მარკა და ლირსება. ყოველ შესაძლო შემთხვევაში შექმნან ახალი მარკის ღვინოები. მაგრამ, ჩვენი აზრით, მარკების სიმრავლით მეტისმეტი გატაცებაც არ ივარგებს.

აი ძირითადად ის საკითხები, რომელთა გადაჭრა, ჩვენი აზრით, სხვა ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვნად შეუწყობს. ხელს ხარისხოვანი მელვინეობის განვითარებას.

გურჯაანის რაიონის მევენახეები და მელვინეები ძალონეს არ დაზოგავენ იმისათვის, რომ განუხრელად შეასრულონ პარტიის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანა — სიმშობლოს მისცენ საუკეთესო ხარისხის და ამასთან რაც შეიძლება მეტი ქართული ღვინო.

გაზ. „კომუნისტი“, 1959 წ. 9 აპრილი

აღვადგინოთ ნამდვილი, კახური ტიპის ლვილობი

დ. გიაშვილი

მებადეობის, მევენახეობისა და მელვინეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

საქართველო მაღალხარისხოვანი ლვინოებით განთქმული მხარეა. მის მადლიან კუთხეებში—კახეთში, დმერეთში, ქართლში, რაჭაში და სხვაგან ჩვენს სახელოვან წინაპრებს შეუქმნიათ და ჩამოყალიბებიათ ურთიერთისაგან განსხვავებული, მეტად თავისებური უნიკალური ლვინის ტიპები—კახური, იმერული, ატენური, ხვანჭეარა და სხვა, რომელთა ბადალი მსოფლიოში არ მოიპოვება. ამ ლვინოების ორიგინალობა შედეგია არა მარტო ვაზის ჯიშის და ვენახების ბუნებრივ-ეკოლოგიური ფაქტორების თავისებურებისა, არამედ ყველა ამ ფაქტორის ურთიერთქავშირისა ლვინოების სპეციფიკურ ტექნოლოგიასთან.

კახური ტიპის როგორც თეთრი, ისე წითელი ლვინოები მსოფლიოში არსებულ სხვა ტიპის სუფრის ლვინოებთან შედარებით უფრო კალორიულია, ყუათიანია, ესე იგი უფრო მდიდარია ძირითადი საკვები და საგემოვნო ელემენტების მხრივ—ალკოჰოლით, ექსტრაქტით, მინერალური ნივთიერებებით, ვიტამინებით. იგი მდიდარია აგრეთვე მაღის ალმძვრელი სურნელოვანი ნივთიერებებით.

კახური ტიპის ლვინოების ეს თავისებურებანი განპირობებულია სპეციფიკური ტექნოლოგიით, რომლის უმთავრესი მოთხოვნა ვენახების ადგილმდებარეობით და ყურძნის სიმწიფით იწყებოდა. ძველად კახეთში ვენახები ძირითადად მთის კალთებზე იყო გაშენებული. აქ ვაზი ძირითადად საკვებს იღებდა ნეშომპალა-კარბონატული და სხვადასხვა სახეობის ტყის ყავისფერი, ჩინჩხიანი, თიხნარი და კირნარი ნიადაგებილან, რომლებიც შექმნილია ხში-



რად დასერილი მთების (ცივგომბორის, კავკასიონის) ხევეტრს უფლება მონატანებით. ვენახების მდებარეობის, მათი ნიადაგების, პულტეზე ფის, ექსპოზიციათა და მიკროელიმატის თავისებურებები, შერწყმული ვაზის ჯიშის ბიოლოგიურ და სამეურნეო ნიშანთვისებებთან, ყველა ამ ფაქტორის კომპლექსური მოქმედება მცენარეზე განაპირობებდა ყურძნის ორგორც საღვინე მასალის მაღალ ხარისხს. ვანთქმული მიკროუ ბნები—კარდანახის ახოები და წარაფები, ბაკურციხის უროები, გორიელები და კაბახები, კოლაგის ქულური და სიბაძიანი, ახაშნის ფაფრის მინდვრები, წინანდლი ს გრძელებინდვრები და მრავალი სხვა დღესაც გვაძლევს ზემოთქმულის ნათელ დადასტურებას.

აი ასეთი მდებარეობის ვენახებში ყურძენი—საფერავი, რქა-წითელი, მწვანე, ხიხვი იქრიფებოდა სრული სიმწიფისა და გა-დამწიფების პერიოდში. ამჟამად არსებული შაქრის განსაზღვრის საშუალებანი წინათ თუმცა არ არსებობდა, მაგრამ კახელმა გლეხმა მშვენივრად იცოდა რთველის დროის განსაზღვრა. „ყურძენს რომ გაშულებტ, დუდკო (წებოვნება) უნდა გაუშვას. თითი თითს უნდა ეკრობოდესო“, —ამბობს ძველი თქმულება.

ცნობილია, რომ საქართველოში ძველად ვენახები დიდ ფარ-თობებზე იყო გაშენებული. მაგრამ მთელი რაგი მიჩნების გამო ეს ფართობები მკვეთრად შემცირდა ამ დარგის აღორძინება იწყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე. მაგრამ ამ აღორძინებას განსაკუთრებით აღრინდელ პირველ პერიოდში დიდი ნაკლოვანებები ჰქონდა, ვენახების გაშენების დროს ხშირად უგუ-ლებელყოფილი იყო ხარისხოვანი მელვინეობის მოთხოვნები. მთელ რიგ შემთხვევებში გათვალისწინებული არ იყო ისტორიული ცოდნა-გამოცდილება სავენახე ფართობების შერჩევაში. კახეთში ფერდობების ათვისებას ყურადღება აღარ ექცეოდა.

ქართული ღვინის ხარისხის ინტერესები მოითხოვს, რომ სა-ვენახე ადგილების შერჩევას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

შემდეგი საკითხია ყურძნის ტექნიკური სიმწიფის დაცვა და ღვინის ტიპების მიხედვით რთვლის ვადების სწორად დადგენა.

კახური ტიპის ღვინოებისათვის ეს პრობლემა იმის შემდეგ გაძნელდა, როცა კახეთში ევროპული ტიპის ღვინომასალების დამზადება დაიწყო. ღვინის ეს ორი ტიპი შინაარსით და შემად-გენლობით ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავდება. ევროპული

ტაბის ღვინო უფრო ნაზია, მაღალმუავიანი, ნაკლებენერგებული მსუბუქი. იგი მოიხველოს 18-21 პროცენტ შაქრიანობის და ღვინოს 6-8 გრამ მუავიანობის ტკბილის შემცველ ყურძენს. კახური ტიპის სამარკო ღვინოებისათვის კი საჭიროა სრული სიმწიფის, ან ოდნავ დაჩამიჩებული 21-24 პროცენტი შაქრიანობის, შედარებით დაბალმუავიანი ყურძენი. კახეთში რთველი იწყება ევროპული ტიპის ღვინოების მოთხოვნების მიხედვით, ესე იგი 18 პროცენტი შაქრიანობის დროს. ეს სასიგნალო ხდება მეღვინეობის ყველა რაიონისათვის და ყურძნის კრეფა - მასობრივად ჩაღდება. დანაკარგების შემცირებისა და რაოდენობრივი გეგმის შესრულების მიზნით ცდილობენ რთველის რაც შეიძლება მოკლე ვადაში დამთავრებას, და ვენახების უმეტესობა ისე იკრიფება, რომ ყურძენი ხშირად კახური ტიპისათვის საჭირო საწყის სიმწიფესაც ვერ აღწევს. ეს გარემოება გახდა ძირითადი მიზეზი ცნობილი კახური ტიპის მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინოების „რქაწითელის“ და „საფერავების“ მოსპობისა.

ეკრობული ტიპის სამარქო ღვინოები, ცხადია, გახეთში უნდა
დავამზადოთ, რადგან ამ ღვინოებმა მსოფლიო აღიარება დაიმსა-
ხურეს. მაგრამ არ უნდა დავკარგოთ ჩვენი ეროვნული სასმელე-
ბიც, რომლებმაც უფრო აღრე მოიხვეჭეს სახელი. ამისათვის სა-
ჭიროა ღვინის ტიპების მიხედვით ვენახების დაზონალება. მართ-
ლაც, კახეთის ვენახები და სავენახე ადგილების უმეტესობა თა-
ვიანთი მდებარეობის, ნიადაგების, მიკროკლიმატის და სხვა ფაქ-
ტორების თავისებურებებით ადგილად ექვემდებარებიან დაზონა-
ლების პრინციპს: მთისპირა ზედა ზონა ძირითადი ბაზაა ეკრო-
ბული ტიპისათვის, შუა ზონა—კახური ტიპის ღვინოებისათვის,
ხოლო ქვედა ზონა—საკუპაჟე და ორდინარული მასალებისათვის.
ყურძნის ტექნიკური სიმწიფის დაცვა და როვლის განსხვავებულ
ვადებში ჩატარებაც სწორედ ამ ზონების მიხედვით უნდა წარ-
მოებდეს.

კახური ტიპის ქებული საფერავი, რომელიც სამკურნალო ღვინოს წარმოადგენდა, აღარ გვაქვს იმიტომ, რომ ამ ჯიშის გაშენებას სათანადო ყურადღება არ ექცევა და, რაც მთავარია, შემორჩენილი ვენახები კახური ტიპისათვის არ მშიდედება. ქართული წითელი ღვინო № 5, თუმცა აკმაყოფილებს ორდინარული ღვინების მოთხოვნებს, მაგრამ ვერ ასახევს მისი წინაპრის — კახური

„საფერავის“ თვისებებს. ის უფრო თხელია, ნაკლებენერგეტიკული მცირე ექსტრაქტოვნებისა და არასრულ შინაარსიანია. საფერავის საგან ამჟამად მზადდება მაღალხარისხოვანი ევროპული ტიპის „მუკუზანი № 4“, ბუნებრივი ტებილი „ქინძმარაული“ და „ახა-შენი“. ეს კარგია, მაგრამ ქართული ეროვნული, ეგრეთ წოდებული ფაფისებური კახური ტიპის „საფერავი“ დაკარგვის ღირსი არ იყო და ის აუცილებლად უნდა აღვადგინოთ.

ლონისძიებათა ძარითადი საკითხია აგრეთვე კახური ტიპის თეთრი ლვინის დაყენების უკელა ჭესტად დაცვა.

თუმცა სამარკო ლვინო № 12 „ტიბაანი“ და ორდინარული ქართული ლვინო № 8 კახურ ტიპად მიგვაჩნია, მაგრამ ნამდვილ ტიპიურობას ისინი საკმაოდ დაცილებული არიან. ამის ძარითადი მიზეზი კი ჭაჭის დაქანგვის ანუ ფერმენტაციის უგულებელყოფაა. საქმე ის არის, რომ ყურძნის მექანიკური ნაწილი—კლერტი, ჩენ-ჩო და წიპტა, რომლებიც მონაწილეობენ კახური ტიპის თეთრი ლვინის ფორმირებაში, ტებილთან შედარებით უფრო მეტ გუნდილოვან ნივთიერებებს შეიცავს. დუღილისა და ჭაჭაზე დგომის პერიოდში ეს ნივთიერებანი ლვინოში გადადიან და, დადებით თვისებებთან ერთად ლვინოს სიმწყლარტეს და სიუხეშეს აძლევენ. ამ ნაკლის გამოსწორებისთვის ჩენმა წინაპრებმა გამონახეს მეტად გონებამახვილური ტექნოლოგიური პროცესი—დაწურული ჭაჭის წინასწარ დაქანგვა და ამგვარად მიმატება ტებილში. დაკვირვებებმა ცხადყო, რომ დაქანგულ ჭაჭაზე დაყენებული ლვინო საკონტროლოსთან შედარებით უფრო მუქია, ექსტრაქტოვანია, რბილი და ჰარმონიულია. ამ პროცესის ქიმიური არსის და ცდების შედეგების განმარტება შორს წაგვიყვანდა; თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ მხოლოდ ერთსარაპირდაპირ მაგალითს: ცნობილია, რომ კომში დაკრეფისას საკმაოდ მწყლარტეა, მაგრამ თუ მას დავბეჭავთ, იგი მუქდება და გემოც მოტკბო, რბილი უხდება. დაბეჭის დროს აქაც ჭაჭის დაქანგვის მსგავსი პროცესი ხდება: ნაყოფის ქსოვილი ირღვევა, ჰაერთან კონტაქტში რბილობი და წვენი იჯანგება და გემოც უმჯობესდება. ამჟამად არსებული კახური ტიპის ლვინოები საკმაოდ ძელგი და უხეშია, რადგან დაყენების დროს ჭაჭის ფერმენტაციის არ აწარმოებენ. ყურძენი, დაჭყლეტისთანავე ტებილიან-ჭაჭიანად სადუღრად ერთად მიღის და ლვინოც მწყლარტე გემოსი დგება. საქმე გაიოლდა, მაგრამ პროდუქციის



ხარისხი გაუარესდა. შეიძლება დაისვის კითხვა: რამდენად შემცირდა შეწონილი იქნება ჭავის დასაუანგავად წარმოების თანამდებობა? პირობებში ნავების შემოღება, ანდა არსებობს თუ არა ნავის შემცველი სხვა რომელიმე ღონისძიება?

ამ კითხვაზე შეიძლება დადგებითი პასუხის გაცემა. 1945-1948 წლებში „სამტრესტის“ მუკუზნის, გურჯაანის და კარდანახის ლვინის ქარხნებში ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე, ჩვენს მიერ შემუშავებულია კახური ტიპის თეთრი მაღალხარისხოვანი ღვინის დაყენების ტექნოლოგიური სქემა, რომელიც კარგი შედეგებით აღინიშნა. ამ სქემის მიხედვით ძირითადი პროცესები შემდეგი თანმიმდევრობით სრულდება: სათანადოდ მომწიფებული მაღალხარისხოვანი ყურძენი იჭყლიტება ფულოტუმბოთი ან უბრალო საჭყლეტი მანქანით. კლერტიანი დურდო ტარდება კალათიან წნეხებში—„ტრიპლექსში“, „დუპლექსში“ და სხვ. დაწნეხილი ჭავა ხის ბაქანზე გაშლილი 6-8 საათის განმავლობაში იქანება და ემატება ქვევრებში მოთავსებულ ოდნავ სულფიტირებულ ტკბილს. დუღილი წარმოებს შერჩეული საფუვრებით. ხშირი დარევის პირობებში. ღვინო ჭავაზე რჩება სრულ დაწმენდამდე, რაც იანვრის ბოლომდე გრძელდება.

არის პროფ. გ. ბერიძის მიერ შემუშავებული სქემა, რომლის ძირითადი რგოლები შემდეგია: შესაფერი სიმწიფისა და ხარისხის ყურძენი მუშავდება ფულოტუმბოში. დურდო ჯერ კალათიან წნეხში ტარდება, ხოლო შემდეგ იწნეხება უწყვეტი მოქმედების მობილის სისტემის წნეხში. თითქმის მშრალ მდგომარეობამდე მისული ჭავა, წინასწარ დაქუცმაცებულ კლერტთან ერთად თავსდება სპეციალურ საფერმენტაციო კამერაში და 4-5 საათის ფერმენტაციის შემდეგ, დაწრეტილ ტკბილს ემატება. ღვინო ჭავაზე რჩება მარტამდე.

კახური ტიპის ღვინოების ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭიროა მთელი რიგი სხვა ღონისძიებებიც, რომლებსაც აქ ვერ შევეხებით. ჩვენი აზრით, დაყენებული საკითხები უფრო პრიციპულია და მათი შესრულებაც ერთგვარ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ეს სიძნელეები უნდა გადავლახოთ და სულ მაღლა აღვადგინოთ ჩვენი ეროვნული მშვენება—ნაზღვილი კახური ტიპის სანაქებო ღვინოები.

ასეთია ჩვენი აზრი

გ. გაფრინდაშვილი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
კანდიდატი

ქ. გილოზიაშვილი

ტექნიკურ მეცნიერებათა
კანდიდატი

ცნობილია, რომ ღვინის ხარისხი დამოკიდებულია ვაზის ჯიშ-ზე და იმ გარეშე პირობებზე, რომლებშიაც იგი იზრდება. გარდა ამისა, ყურძნის გადამუშავებისა და ღვინის დაყენების ტექნოლოგიური წესი ავლინებს ჯიშიდან ამა თუ იმ ღვინის ტიპის მიღების შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რაიონების პირობებში შესაძლებელია მივიღოთ ყურძნის უხვი და ხარისხობრივი მოსავალი, ამ შესაძლებლობას ზოგიერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ჯერ კიდევ ვერ იყენებს.

დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ყურძნის დაბალი მოსავლის ერთ-ერთი მიზეზია ვენახის სიმეჩხრე, რაც ზოგიერთ ნაკვეთზე 30 და მეტ პროცენტს აღწევს. სიმეჩხრის გამომწვევი მიზეზები მრავალია, მაგრამ ჩვენს პირობებში მთავარ მიზეზად უხარისხო ნერგის დარგა უნდა ჩაითვალოს.

მიმდინარე შვიდწლედში ვენახების ფართობები ორჯერ და მეტად გაიზრდება, რაც მოითხოვს შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დიდ საჭიროებას. ამ მხრივ ჩვენთან ყველაფერი რიგზე როდია. გარდა სავენახე ნიადაგის მომზადებისა, ვენახში სამუშაოები ხელით სრულდება, ვენახების უმეტეს ნაწილში მწკრივთაშორის დატოვებულია 1,5 მეტრი, რაღაც ფართობის ერთეულზე მცენარეთა მეტი რაოდენობა (გარევეულ ზღვრამდე) ყურძნის მეტი მოსავალს იძლევა. ეს შეუძლებელს ხდის არსებული ტრაქტორების გამოყენებას. ხოლო ფერდობებზე გაშენებულ ვე-

ნახებში სამუშაოთა მექანიზაციაზე შეიძლება ითქვას ჩვენი მეცნა-
ერი მექანიზატორები ნაკლებად ფიქრობენ და ზრუნავენ. გამოყენების გადაწყვეტილების განვითარების მიზნით

ამ ბოლო ხანებში მექანიზების ფართოდ გამოყენების მიზნით ზოგიერთ რაიონში დაიწყეს ვენახების გაშენება დაბლობ და ვაკე ადგილებზე. ჩვენი აზრით, ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ასეთ პირობებში ვაზი ხშირად ზიანდება ყინვებისა- გან და, რაც მთავარია, მიღებული პროდუქციის ხარისხი დაბა- ლია.

მხედველობაში მისაღებია, რომ მაღალხარისხოვან იმერული ტი- პის სუფრის თეთრ და ორიგინალურ ბუნებრივ ტებილ ღვინოებს იძლევა მშრალი ფერდობების ნეშომბალა კარბონატულ ნიაღა- გებზე გაშენებული ვენახები.

ჩვენი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები შესაძლებლობას იძლევა მომარაგებულ იქნას ღვინის წარმოება მაღალხარისხოვანი ექრობული და იმერული, შამპანური და ორიგინალური ბუნებ- რივი ნახევრად ტკბილი ღვინომასალით. ზემო იმერეთის რაიონები თავისი განსახვავებული აგროლიმატური და ნიაღაგური პირობე- ბით განსაზღვრავს მაღალხარისხოვანი შამპანური ღვინომასალის მიღებას. შუა იმერეთი ისტორიულად ცნობილი იმერული ღვი- ნოების მწარმოებელია, ხოლო ქვემო იმერეთი ძირითადად ორ- დინარულ სუფრის ღვინოებს იძლევა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მეღვინეობის რაიონები ჯერ კიდევ სწორია არ არის დაგეგმილი. მაგალითად, სვირის, კვალი- თის, არგვეთისა და ქვედა საქარის მიკროუბნებში ციცქა გამო- ყენებულია შამპანურის წარმოებისათვის, იძლევა ლამაზ, ყვითელი ფერის ხარისხოვან სუფრის ღვინოს, შამპანურისათვის კი შეუ- ფერებელი მასალაა.

უკანასკნელ წლებში ღვინოების ასორტიმენტიდან ამოღებულია ბუნებრივი პირობებით და ხალხის მიერ შექმნილი ორიგინალუ- რი „იმერული ღვინო“, რომელიც თავისი მაღალი თვისებებით ყოველთვის იქცევდა მომხმარებლის ყურადღებას. საჭიროა ალ- ვადგინოთ ქართული ღვინის ძველი მარკები, საჭიროა სამტრევსტ- მა სერიოზული ყურადღება მიაქციოს იმერულ ღვინოებს: „სვირს“ „არგვეთას“, „დიმს“, „ფერსათს“ და აღადგინოს ისინი.

უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი მევენახე გატაცებულია მეტად დიდი მოსავლის მიღებით და არ ითვალისწინებს ვაზის ოპტიმა-

ლურ დატვირთვას. შედეგები კი პროდუქტის ხარისხის საჭიროებულია
თანაც არის შემთხვევები, რომ ვაზი სუსტდება და ნაყოფიერებას
ჭარგავს. ვაზის ოპტიმალურ დატვირთვას და სასუქების გამოყე-
ნების ოპტიმალური დოზების დადგენას განსაკუთრებული ყურა-
დლება უნდა მიექცეს.

გაწეული კვლევითი მუშაობის შედეგად გამოვლინებულია მა-
ლალხარისხოვანი შამპანური ღვინისმომცემი ადგილობრივი ვა-
ზის ჯიშები: თეთრი კაპისტონი, ბაზალეთური, გორულა მწვანე,
ჩხავერი და სხვ., რომელთა ფართობების გაზრდა დიდ სარგებ-
ლობას მოუტანს ქართული შამპანურის ხარისხის გაუმჯობესებას. სუფრის ღვინოების მაღალი ღირსება იმერეთში დიდად არის და-
მოკიდებული ზოგიერთ მაღალხარისხოვან პროდუქტისმომცემ
ადგილობრივ ჯიშე. ასათებია კრახუნა და საფერავი. მაგრამ იმ
მოტივით, რომ ეს ჯიშები მოსავლიანობის მხრივ ნაწილობრივ
ჩამორჩებიან ციცქასა და ცოლიკოურს, მათ წაკლები ყურადღება
ექცევა. საჭიროა მომავალში ვენახების ფართობების ზრდასთან
დაკავშირებით მათ ვაზის სტანდარტულ ასორტიმენტში ჯეროვანი
ადგილი დაეთმოს.

გაზ. „კომუნისტი“ 1969 წ. 10 პრილი

შუალა ხარისხიანობის ამაღლების ზოგიერთი არსებითი საკითხი

ი. რცხილაპი

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის მებალეობის,
შევენახეობისა და მეღვინეობის ინსტი-
ტუტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის
განყოფილების გამგე

ს. ლოგიკაცი

აჭროტექნიკური განყოფილების
მეცნიერი მუშაკი]

საქართველო ძველთაგანვე განთქმულია ლვინის ხარისხით.
ჩვენი ვალია ქართული ლვინის ლირსებაც დავიცვათ და შემდგომ
გავაუმჯობესოთ კიდეც. მართალია, ლვინის ხარისხი ბევრად არის
დამკიდებული ყურძნის გადამუშავების ტექნოლოგიური წესების
სიზუსტეზე, ლვინის დაყენებისა და მისი მოვლის წესებზე, მაგრამ
ერთ-ერთი მთავარი როლი მაინც იმ პროდუქციას — ყურძენს
ჟაფრონის, საიდანაც ამა თუ იმ ტიპის ლვინო უნდა დამზადდეს.

ჩვენში მრავალი ადგილობრივი ჯიშის ვაზი მოიპოვება, მაგ-
რამ ყველა მათგანი როდი იძლევა მაღალხარისხოვან მასალას.
საუკუნეების მანძილზე ხალხური სელექციით შერჩეულია და დღეს
ფართოდ გავრცელებულია სულ ათიოდე ჯიში, მაგრამ მათშიც
ნახევარზე მეტი ფართობი რქაშითელს და ცოლიკოურს უჭირავს.
მართალია, ეს ჯიშები ყოველმხრივ შეეფერება ადგილობრივ პი-
რობებს, მთელი რიგი დადებითი სამეურნეო თვისისებებით ხასიათ-
დება, მაღალია მათი მოსავალი და ხარისხი, ავადმყოფობათა და
მავნებლების წინააღმდეგ გამძლეობა და სხვ., მაგრამ მხოლოდ ამ
ორი ჯიშით გატაცება სწორი არ არის.

ყურადღება არ ექცევა ისეთ ძვირფას ჯიშებს, როგორიც არის
საფერავი, რომელიც საუკეთესოდ არის მიჩნეული მსოფლიოში
სუფრის წითელი ლვინის მომცემ ყურძნის ჯიშებს შორის. არა-
საქართველოს რაოდენობით შენდება მწვანე და ჩინური, რომლებიც მა-



ღალი ხარისხის სუფრის ღვინოს და საშამპანურე ღვინომჰალი იძლევიან, აგრეთვე ხიხვი, კრახუნა, ოჯალეში, ჩხავერი.

ამჯამად ვენახები შენდება უმთავრესად დაბლობ, ვაკე ადგილებში, იმ დროს როდესაც ცნობილია, რომ შემაღლებულ ფერდობებზე მდებარე ვენახების ყურძნიდან უფრო მაღალი ხარისხის ღვინო დგება. სრულიად აღარ შენდება ვენახები ცივგომბორის შემაღლებულ ქალთებზე, კახეთში და იმერეთში მთაგორიან ზონაში მაღალხარისხოვანი ღვინისმომცემ საუკეთესო ადგილებზე, რაც სწორი არ არის.

ვენახების გაშენების არასაკმაო ტემპის მიზეზია და-სარგავი მასალის (ნამყენი ვაზი) სიმცირე; ამასთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად სადედე და სანერგე მეურნეობის — მევენახეობის შემდგომი განვითარების ძირითადი საფუძლის, გაუმჯობესება უნდა იქნას მიჩნეული. საძირე ვაზის სადედეების არსებული ფართობი 1.330 ჰექტრი. (აქედან სრულასაკოვანი მხოლოდ 800 ჰექტრარია) სრულიად ვერ აკმაყოფილებს რესპუბლიკის მზარდ მოთხოვნილებას საძირე მასალაზე, მით უმეტეს, რომ ეს სადედეები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება. სადედეების პროდუქტიულობა მეტად დაბალია.

საქართველო ფილოქსერის გავრცელების კერას წარმოადგენს და ვენახები მხოლოდ ნამყენით უნდა შენდებოდეს, საჭიროა ვაზის სადედე და სანერგე მეურნეობის მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესება. საძირე ვაზის სადედეები მთლიანად მავთულის შპალერის საყრდენზე უნდა იყოს გადაყვანილი, რაც დიდად აადგილებს მათ დამუშავებას, ამასთანავე იძლევა პროდუქციის (ლერწის) გადიდებას 20—25 პროცენტით.

ყურძნის დაბალი მოსაგლინობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ვენახების დიდი სიმეჩხრე. მიუხედავად იმისა, რომ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სისტემატურად ტარდება ერთგვარი ღონისძიებები, დღემდე ვერ არის მიღწეული სიმეჩხრის ოდნავ მაინც შემცირება.

მევენახეობაში მექანიზაციის არასაკმარისად გამოყენების გამოდანახარჯები ყურძნის წარმოებაზე დიდია და ყურძნის თვითლი-, რებულება მაღალი. დამაკმაყოფილებლად არის მექანიზებული მხოლოდ ვენახის გასაშენებლად ნიადაგის მომზადება (პლანტაჟი)

და ნაშილობრივ ვენახში ნიადაგის რიგთაშორის დამუშავება (ზენა, ფულტივაცია) და სხვ.

თუ საბჭოთა მეურნეობებში ვენახის სამუშაოთა მექანიზაცია ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ეს არ ითქმის კოლმეურნეობებზე. აյ არ იყენებენ ბორდოს სითხის შესახურებელ და გოგირდის შესაფრქვევ აპარატებს, პლანტაციის გასაახლებლად დამიღრმავებელს და პლანტაციის წინ ნიადაგის ლრმად გამოფხვიერებელს.

ყურძნის მოსავლის დანაკარგებს და აქედან გამომდინარე მევენახეობის შემოსავლიანობის შემცირებას იწვევს ვენახებში სხვადასხვა მავნებლების და ავადმყოფობათა მასობრივი გავრცელება და მათთან ბრძოლის საქმის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. მართალია, ყველა რაიონში გავრცელებულ სოკოვან ავადმყოფობათა — ჭრაქისა და ნაცრის საწინააღმდევოდ არსებობს რადიკალური საშუალებანი: ბორდოს ხსნარის შესხურება ჭრაქის წინააღმდეგ და გოგირდის შეფრქვევა ნაცრის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ლონისძიებანი ხშირ შემთხვევაში ტარდება არა თავის დროზე და უხარისხოდ, რის გამო საგრძნობლად მცირდება არა მარტო მოსავლიანობა, არამედ ყურძნისა და ამიტომ ლვინის ხარისხიც.

ვაზის მავნებლების და ავადმყოფობათა წინააღმდეგ სახელმწიფო მასშტაბით ერთიანი ბრძოლის წარმოება (როგორც საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში, ისე საკარმილამო ნაკვეთებზე) ხელს შეუწყობდა ყურძნის პროდუქციის დიდი რაოდენობით დაზოგვას და საგრძნობლად გაზრდიდა ამ დარგის შემოსავლიანობას.

კოლმეურნეობის ვენახებში ქარსაფარი (ვენახსაცავი) ნარგავები და ლობები თითქმის არსად არ არის მოწყობილი, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს მათ. ქარსაფარი (ვენახსაცავი) ნარგავების მოწყობა, სადაც ეს საჭიროა, და ლობებით გამართვა (ყველა ვენახში) მნიშვნელოვნად შეამცირებს ყურძნის ძვირფასი პროდუქციის დანაკარგებს.

აი ზოგიერთი ძირითადი საკითხი, რომელთა დროულად გადაწყვეტა ხელს შეუწყობდა მევენახეობის შემოსავლიანობის გადიდებას და ლვინის ხარისხის გაუმჯობესებას.

ჩვენი ღირსების საჭიროებები

3. გელაშვილი

წინანდლის ღვინის ქარხნის მთავარი
მეღვინე

საქართველოში დამზადებულ ღვინოებს კარგად იცნობს ჩვენთ
ქვეყნისა და ევროპის ფართო საზოგადოებრიობა. მეღვინეობის
ოფიციალური გაზეთი, რომელიც პარიზში გამოდის, საქართვე-
ლოდან ლონდონის დეგუსტაციაზე წარმოდგენილი ოთხი უმაღლესი
მარკის ღვინის შესახებ 1947 წლის 18 ივნისის ნომერში წერდა:
„ფრანგული ღვინის მოულოდნელი კონკურენტი“. აქ წერილის ავ-
ტორის მხედველობაში ჰქონდა „წინანდალი“, „ნაფარეული“, „მუ-
კუზანი“ და „კარდანახი“. ასეთი გამოცდილება იქნა და მარკის გამოცდილება აქვს. ამიტომ ახლა, როცა რესპუბლიკაში მეღვი-
ნეობა დიდ აღმავლობას განიცდის, ეს გამოცდილება მიღებულ
უნდა იქნას მხედველობაში.

წესით ყურძენი უნდა იკრიფებოდეს შერჩევით, ცალკე სამარკო
ღვინოებისათვის და ცალკე სხვა მოხმარების ღვინოებისათვის.
დაუზიანებელი ყურძენი უნდა მუშავდებოდეს სამარკო ღვინოებად.
ყურადღება უნდა მიექცეს ვაზების ნორმალურ დატვირთვას. ზედ-
მეტად დატვირთული ვაზები ვერ უზრუნველყოფენ ყურძნის ნორ-
მალურად დამწიფებას, დაუმშიფებელი ყურძენი ცუდად მოქმედებს
ღვინის ხარისხზე.

ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ტექნოლოგიის უზ-
რუნველყოფისათვის აუცილებელია სუფრის ღვინოების ისეთი დი-
დი ქარხნები, როგორიც წინანდლისა და თელიანის ღვინის ქარხ-
ნებია, უზრუნველყოფილ იქნას ღვინის თერმიული დამუშავების
მოწყობილობით. ამ ორ ქარხანაში, რომელიც თითქმის ერთსა
და იმავე ადგილზე მდებარეობენ, იქმნება ქართული საამაყო, სა-
ხელმოხვეჭილი ღვინოები: წინანდალი № 1, ნაფარეული № 27,
მუკუზანი № 4 და თელიანი № 2. აღნიშნული ღვინოების შემდ-

გომ გაუმჯობესებაში უდიდეს როლს შეასრულებს მათი სიბო-
სიცივით დამუშავება. ეს იმას ნიშნავს, რომ, ჩვენი აზრით, უკურნეულ
ლო გახდება ღვინის დაძველების დროის შემცირება 3 წლიდან
2—2,5 წლამდე, რითაც ხარისხთან ერთად მივაღწევთ ღვინის
თვითონირებულების შემცირებას.

გარდა ამისა, მეღვინეობა უნდა აღიჭურვოს უმაღლესი ხარის-
ხის ტექნიკური მოწყობილობით, ფართოდ დაინერგოს უმაღლესი
ხარისხის ფილტრები, მაცივრები, პასტერიზატორები და სხვ. აღ-
სანიშნავია, რომ საწარმოო შენობების სიმძლავრე ვერ აკმაყოფი-
ლებს მეღვინეობის ღლევანდელ მოთხოვნილებას. ღვინის დიდი
რაოდენობა ინახება ღლა ცის ქვეშ, რაც საგრძნობლად ზრდის და-
ნაკარგებს, თვითონირებულების და ცუდად მოქმედებს ღვინის ხა-
რისხზე.

სამარკო ღვინოების ხარისხის ამაღლებისათვის საჭიროდ მიგ-
ვაჩნია ღვინის ჩამოსხმა მოხდეს ბოთლებში იქ, სადაც მისი დაძ-
ველება ხდება. მეღვინეობა ჩვენში თუმცა უძველესი დარგია, მაგ-
რამ საწარმოო პროცესების მექანიზაცია და სრული ავტომატიზა-
ცია ჯერ კიდევ ნაკლებად არის დანერგილი. უკანასკნელი ორი
წლის განმავლობაში წინანდლის ღვინის ქარხანაში წარმატებით
მიმდინარეობდა საწარმოო გამოცდა ტებილის განუწყვეტელი ნა-
კადური მეთოდით დუღილის ჩატარებაზე. აღნიშნულ მეთოდს
ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის უფროსი
მეცნიერი მუშავი ამხ. დ. გიაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ
მეთოდით ტებილის დადუღლებისას შექმნილი ბატარია მცირე
მასშტაბისა იყო, მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ აღნიშნული
მეთოდის დანერგვა წარმოებაში ქმნის რიტმულობას, ამცირებს
თვითონირებულების და იძლევა დაგროვების გადიდების საშუალე-
ბას. ამავე დროს საგრძნობლად მაღლდება პროდუქციის ხარისხი
და შესამჩნევად მცირდება წარმოების დანაკარგები. აღნიშნული
მეთოდი მოწონებულია და საჭიროა ხელი მოვკიდოთ მის ფართო
მასშტაბით დანერგვას წარმოებაში.

ქართული სამარკო სუფრის ღვინოების შემდგომი სრულყოფა
ჩვენი რესპუბლიკის მეღვინე-ტექნოლოგების ღირსების საქმეა.

მითხვალ პილვ ჩართული ღვინის ხარისხის ზესახებ

პ. პატარაია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის
 საბჭოს ცენტრალური რესპუბლიკური
 ლაბორატორიის ბიოქიმიისა და ბიოფი-
 ზიკის საკვლევი ჯგუფის ხელმძღვანელი

პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით
 განსაზღვრულია საბჭოთა საქართველოს მევენახეობისა და მეღვი-
 ნეობის შემდგომი მძლავრი განვითარების ღიღებული პერსპექტი-
 ვები. ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრის კონკრეტული გზები
 დასახა რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც მიეძღვნა მევენახე-
 ობისა და მეღვინეობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითა-
 რების საკითხებს. ქართველ მკვლევართა, მევენახე და მეღვინე
 სპეციალისტთა ვალია არათუ შეუნარჩუნონ ქართულ ღვინოს საუ-
 კუნეობით მოხვეჭილი ავტორიტეტი, არამედ უფრო აამაღლონ
 მისი ხარისხი და ღირსება.

პროფესორ გ. ბერიძის წერილის გამო გამართული კამათი
 სწორედ დროულია. იგი აუწყებს ოოგორც მევენახე, ისე მეღვინე
 სპეციალისტებს, რომ საჭიროა ბრძოლა ქართული ღვინის ღირ-
 სებისა და მარკის შენარჩუნებისათვის.

ჩვენი აზრით, ამ დიდ ღონისძიებას მხოლოდ ქარგი სურვილე-
 ბი ეკრ გადაჭრის, არამედ უნდა გადაიღიას პრაქტიკული ნაბიჯები,
 უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია განხორციელდეს სამეცნიერო-
 კვლევითი მუშაობა. ამასთან ერთად საჭიროა წყალგანზავებული
 ღვინოების დადგენის მეთოდის შემუშავება. ასევე ყურადღების
 ღირსია ერთი საკითხი: კერძოდ, კონიაკისა და ღვინის წარმოე-
 ბაში არ არსებობს ფერთუ კონსტანტები ეტალონების სახით,
 რიღებული მაღალხარისხოვანი პროდუქცია ხშირად სხვადასხვა
 ფერისაა. ფერთა ასეთი მერყეობა პროდუქციის შინაარსსაც გან-

საზღვრავს. ეს უნდა გამოსწორდეს. არსებული კოლორიმეტრიზმაზე
ხელსაწყოები რეტად სუბიექტურ დასკვნებზეა დამყარებული, თუ
არ მივიღებთ მხედველობაში ფოტოელექტრო კოლორიმეტრს.
ამიტომ საჭიროა შედარებით მარტივი, ობიექტურ მაჩვენებლებზე
აგებული ხელსაწყოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს ფერთა ეტა-
ლონების მათემატიკური მაჩვენებლებით გამოსახვას.

თანამედროვე ფიზიკის, ქიმიისა და სხვა საბუნებისმეტყველო
დარგების მიღწევები ფართოდ არის ცნობილი. მაგრამ ყოველთვის
და ყველგან როდი შეიძლება ერთი საზომით მიღუყენოთ ეს მიღ-
წევები ამა თუ იმ პირობებს. კერძოდ, ხშირია ექსპერიმენტების
ჩატარება ატომგულური ენერგიის გამოყენებით, სახელდობრ,
რაღიაქტიური სხივების საშუალებით, მაგრამ მათი დანერგვა წარ-
მოებაში და მით უმეტეს კვების პროდუქტთა დასხივების სახით,
უდავოდ ნაჩქარევი იქნება.

მქველევარები თ. ცეცხლაძე, გ. ბერიძე, ა. ლაშხი და სხვები
ღვინისა და კონიკის ხანმოკლე პერიოდში დაძველებისა და ორ-
განოლებტიური ნიშნების გასაუმჯობესებლად იყენებდნენ გამა
რაღიაციას (დასხივებას). ამ მხრივ მიღებული შედეგები უდავოდ
საინტერესოა. მაგრამ ჩვენ არ უნდა ავჩქარდეთ, რადგან ჯერ
კიდევ ბევრი რამ აძოუხსნელი რჩება. მით უმეტეს, რომ ქართული
ღვინო ხელოვნურ „გაკეთილშობილებას“ არ მოითხოვს.

პირიქით, ტექნიკის მიღწევები დიდი მასშტაბებით უნდა შეიძრას
სასათავსო და სამეურნეო დარგებში. მაცივართა ტექნიკა, თერ-
მოიზოლატური დანაღვარები, ავტომატური თერმული რეგულა-
ცია და სხვ. ხელს შეუწყობს თანამდროვე დონეზე წარმოების
პულტურის დაყენებას, ამ შემთხვევაში კი ქვევრის მნიშვნელობა
უდავოდ დაიკარგება.

უნდა დავეთანხმოთ ამხ. ა. დავითაშვილის აზრს რკინაბეტო-
ნის როვების ნაცვლად მომინანქრებულ შესანახ ნაგებობათა გა-
მოყენების საკითხში. ამ შემთხვევაში ტემპერატურული რეჟიმი
მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება.

პროფესორ გ. ბერიძის შერილში სასარგებლო და მისაღებია
წინადაღება, რომ ქართული სამარკო ღვინოების (წინადაღი,
მუკუზანი, გურჯაანი, თელიანი, ტიბიანი და სხვ.) ჩამოსხმა წარ-
მოებდეს იქ, სადაც სათანადო დაძველებას და ტექნოლოგიურ
დამუშავებას გაივლიან. ამისათვის აუცილებელია მინის ჭურჭლით

უზრუნველვყოთ ღვინის ჩამოსასხმელი საამქროები, მაგრამ შემდგრებული წევნების რაიონებში ძრსად არ არის შუშის ქარხანა. ამიტომ შემდგრებული ზანშეწონილად მიგვაჩნია ასეთი ქარხანა მოეწყოს კახეთში, თუნდაც გურჯაანის რაიონში.

სასურველი იქნებოდა, რომ ახლადაშენებულ შუშის ქარხანას გამოეშვა სტანდარტული ტევადობის (ბორდოს ტიპის) ბოთლი, რადგან ხმარებული ფორმის ერთ ლიტრიან ბოთლს ბეჭრი უარყოფითი ნიშნები გააჩნია. აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ სტანდარტულ ბოთლში ღვინის ჩამოსხმა იწარმოებს არა რაოდენობის მიხედვით, არამედ ღონის მიხედვით, ეს უკანასკნელი კი დიდად მნიშვნელოვანი ფაქტორია ღვინის ხარისხისათვის ბრძოლაში. მით უმეტეს ჩამოსხმულ ღვინოთა შენახვის ხანგრძლივობაში.

როგორც ცნობილია, ხარისხისათვის ბრძოლა უნდა იწყებოდეს ვენახში. შემდეგ პირველადი შეღვინეობის საწარმოებში და საბოლოოდ—პროდუქციის გამოშვების აღგილზე. მევენახე სპეციალისტებმა ბეჭრად გაუსწრეს მეღვინე კოლეგებს. ისინი სელექციისა და თანამედროვე აგრობიოლოგიის საფუძველზე კარგად დაეუფლნენ თავიანთ საქმეს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვაზის დატვირთვის ხარჯზე ყურძნის ეგრეთ წილდებული სარეკორდო მოსავლის მიღება ზიანს აყენებს ღვინის ხარისხს, ეს ყველა მევენახემ უნდა გაითვალისწინოს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეღვინეობის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე დიდი ხანია არ გამოცემულა, ხოლო რომელიც არსებობს, მოითხოვს მთელ რიგ დამატებებსა და შესწორებებს. ამასთან ერთად ღვინის ქიმია დიდად ჩამორჩება დღევანდელ მოთხოვნილებებს. საჭიროა ახლო მომავალში ჩვენი რესპუბლიკის სპეციალისტებმა შეიმუშაონ ორიგინალური მეთოდები და ღონისძიებები.

მეღვინე სპეციალისტებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ მაღალ-ხარისხოვანი მზა პროდუქცია—ეს არის მაღალხარისხოვანი ნედლეული, ობიექტურ პრინციპზე დაყრდობილი ტექნოლოგია და შილებული პროდუქციის სათანადო შენახვა. ამ ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს მეღვინეობის შემდგომ ჯინვითარებას და მაღალი ხარისხის ქართული ღვინოების მიღებას.

დაცხით მხოლოდ პირველი ხარდსხის ჩაზის ნირგი

ა. ხელაშვილი

სოფლის მეურნეობის შეცნიერებათა
კანდიდატი

შეცნახეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. მაგრამ მისი განვითარება მაინც არაა აყვანილი შესაძლებლობის სიმაღლეზე. ჩვენს რესპუბლიკას ყველა პირობა გააჩნია, რათა ერთ სულ მოსახლეზე ვენახის ფართობისა და ყურძნის მოსავლის რაოდენობის, აგრეთვე სუფრის წითელი და თეთრი, შამპანური და ნახევრად ტკბილი მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების მხრივ მთელ მსოფლიოში წამყვანი აღვილი დაიკავოს. ამისათვის საჭიროა ენერგიული შრომა, აგროლონისძიებათა ცალკეული ოპერაციების ვალაზე და მაღალხარისხოვნად ჩატარება, ყველა სამუშაოს მექანიზაციის მაღალი ღონე, მოწინავეთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება და ა. შ.

სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა მიერ აღებული ვალდებულება 3.000 ჰექტარი ვენახის გაშენების შესახებ, მეტად საპასუხისმგებლო ამოცანაა. ამოდენა ფართობზე ვენახის გასაშენებლად სოფლის ახალგაზრდობას 12 მილიონამდე ცალი მაღალხარისხოვანი ნერგი დასჭირდება, ამასთან ვენახების გაშენება უნდა მოხდეს პირველხარისხოვანი ნამყენი ნერგებით. სამწუხაოროდ, ჩვენში ასეთი ნერგის გამოსავლიანობა ჯერ კიდევ მეტად მცირეა — 20-25 პროცენტს არ აღემატება, ზოგიერთ კოლმეურნეობაში კი 5-10 პროცენტამდეც ეცემა. ვენახის გაშენების გეგმის შესასრულებლად ზოგიერთი აგრონომი არასწორად აწარმოებს ნერგების დახარისხებას და მუდმივ აღვილზე რგავს მეორე ხარისხის ნერგს. ეს კი



იძლევა მეჩხერიანობის დიდ პროცენტს, რაც ყურძნის დაბრუნვა
მოსავლიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

ქართველ გევენასეთა წინაშე დასახული გრანდიოზული და-
ვალებების წარმატებით შესრულებისათვის წამყვანი როლი ენი-
ჭება ვაზის სანერგე მეურნეობის სწორ ორგანიზაციას და მის
მოვლა-პატრონობას. მაღალხარისხოვანი ნერგების მიღებას აპრი-
ლის თვიდანვე, ე. ი. ვაზის სანერგეში დარგვიდანვე ეყრება სა-
ფუძველი. ვფიქრობთ, სანერგე მეურნეობაში აქამდე არსებული
პრაქტიკა ძლარ შეეფერება დღევანდელ მოთხოვნილებას. მის ორ-
განიზაციაში უნდა მოხდეს ძირეული ცვლილებები. ყველა საბჭო-
თა და კოლექტიურ მეურნეობაში უნდა შეიქმნას ახალგაზრდობის
სპეციალური ჯგუფები, რომლებიც იმუშავებენ სანერგეში ერთეუ-
ლი ძირების მზრუნველობით გახარება-განვითარებისათვის. მათი
შრომის ანაზღაურება უნდა მოხდეს გახარებული, პირველხარის-
ხოვანი ნერგის პროცენტული გამოსავლიანობის მიხედვით.

სანერგეში მომუშავე ჯგუფის წევრებმა კარგად უნდა მოამ-
ზადონ პლანტაციირებული სანერგის ნაკვეთი და ვაზი აგროწესე-
ბის სრული დაცვით დარგან, თვითონვე განახორციელონ შემდგო-
მი მოვლა-პატრონობა.

სათბურიდან გამოტანილის და სანერგის ნაკვეთში მიტანილი
ვაზი მეტად ფრთხილად უნდა ამოვილოთ სანამყენე (სასტრატი-
ფიკაციო) ყუთიდან და გულმოდგინედ დავახარისხოთ. ის ნამყენი,
რომელსაც ჭრილობის ირგვლივ კარგად აქვს განვითარებული კა-
ლუსი (ნადული), სანერგეში უნდა დაირგოს რიგთაშორის ერთი
მეტრის, ხოლო ნამყენებშორის 8-10 სანტიმეტრის დაშორებით.
რგვა უნდა განხორციელდეს სარგავი პალოთი. ნამყნობი ადგილი
მიწის ზევით 2-3 სმ-ით დადგება და თავებზე მაღლიდან დაეყრე-
ბა ფხვიერი მიწა დასავლეთ საქართველოს რაიონებში 5-7 სმ-ის,
ხოლო აღმოსავლეთ რაიონებში 8-10 სმ-ის სიმაღლით. უმჯობე-
სია ნამყენებს თავზე დაეყაროს მდინარის სილანარევი ფხვიერი
მიწა, რომელიც ხელს უწყობს ჰაერაციას.

ნამყენის დარგვის დამთავრებისთანავე საჭიროა სანერგის
მორწყვა წყლის კვლებში მიშვებით. კარგი იქნება, თუ სარწყავ
წყალს აურევთ გადამწვარ ნაკელისაგან დამზადებულ წუნწუხს. ეს
ხელს შეუწყობს ნერგების უკეთ გაძოკვებასა და ზრდა-განვითა-
რებას.

ჯგუფის თვითეულმა წევრმა კარგად უნდა იცოდეს, რომ
სანერგის ნიადაგის სისტემატური დამუშავება აუცილებელი უნდა
ნისძიებაა. სავეგეტაციო პერიოდში საჭიროა ჩატარდეს ნიადაგის
6-7-ჯერ კულტივაცია 10-12 სმ-ის სიღრმით ან ამდენჯერვე გა-
თოხნა. ყოველი მორწყვის ან წვიმის შემდეგ მაღალხარისხოვნად
უნდა ჩატარდეს რიგთაშორის ნიადაგის დამუშავება და ბაზოების
გაფხვიერება, რომ ბაზოებზე წარმოშობილმა ქერქმა ხელი არ შე-
უშალოს ყლორტის აღმოცენებას.

სანერგეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სა-
ნამყენოდან განვითარებული ფესვების შეჭრას (შეცლას). რაც არ
უნდა მაღალხარისხოვნად გაკეთებული და მოვლილი ნამყენი იყოს,
თუ კი სანამყენოდან განვითარებული ფესვების შეჭრა დაგვიანდა,
ნერგი უხარისხო გამოვა. აქედან გამომდინარე, სანერგეში დარ-
გულ ნამყენებს პირველი წლის სავეგეტაციო პერიოდში სამჯერ
მაინც უნდა შეეჭრას ფესვები. პირველად იგნისის პირველ დეკა-
დაში თოხის დახმარებით ნამყენს ფრთხილად უნდა შემოეცალოს
თავზე დაყრილი მიწა (ბაზოები) და მჭრელი დანით შეეჭრას უსარ-
გებლო ფესვები, შემდეგ კვლავ წაეყაროს მიწა. იგივე ოპერაცია
განმეორდება ივლისის პირველ ნახევარში, მესამედ — აგვისტოში
იმ განსხვავებით, რომ აგვისტოში შემოცლილი მიწა (ბაზოები)
აღარ მიერება ზედ, რათა მოხდეს ნამყნობი ადგილის გამაგრება
ჰაერაციითა და მზის სხივებით.

გაზაფხულსა (მაისი) და ზაფხულში განსაკუთრებულად უნდა
გამახვილდეს ყურადღება დააგადებათა წინააღმდეგ. პარილის ბო-
ლო და მაისის პირველი რიცხვებიდან აუცილებელია მავთულა
ჭიის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც საქართველოს მევენახეობის
თითქმის ყველა რაიონშია გავრცელებული, უმთავრესად კი გურ-
ჯაანის, თელავის, მცხეთის, თბილისისა და ნაწილობრივ ზესტა-
ფონ-მაიაკოვსკის რაიონებში. მავთულა ჭია აზიანებს ნამყენის
ნორჩი ყლორტების ბაზალურ ნაწილებს, ღრღნის ყლორტებს, ბი-
ნავდება იქვე და იქვებება ყლორტების სრულ მოსპობამდე. ამ მავ-
ნებლის წინააღმდეგ გამოიყენება პარიზის მწვანათი მოშხამული
ქატო. ყოველ 30 გრამ ქატოზე 1 გრამი პარიზის მწვანა. ერთ
ჰექტარ სანერგეს დასჭირდება 2 კილოგრამი პარიზის მწვანა და
64 კილოგრამამდე ქატო. ნამყენს უნდა შემოეცალოს თავებზე
შოყრილი მიწა, მოშხამული მასალა რიგის მთელ სიგრძეზე დაი-

ფინოსის, რომ ნამყენებს არ ეხებოდეს და მიწა ისევ მიეყაროს ჩვეულებრივი სიმაღლით. ჭიის მოსპობა შეიძლება პგრეთვე უკურად (ხელით).

სანერგეში დარგული ვაზის საშინელ შტრად ითვლება აგრეთვე მარმარილოს ლრაჭა, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული გურჯაანის, თელავის, სილნალის, წითელწყაროს, მცხეთის, გორის და ზესტაფონის რაიონებში.

ნიადაგში მოზამთრე მატლები გაძლიერებით იწყებენ კვებას გაზაფხულზე დარგული ვაზის ფესვებით და მიწაში მყოფი ვაზის ნაწილებით.

მარმარილოს ლრაჭა ცხოვრობს და განსაკუთრებით უკეთ მრავლდება ნიადაგში 30-40 სმ-ის სიღრმეზე. მის წინააღმდეგ გამოიყენება ქლორპიკრინის სპეციალური ხსნარი, რომელიც ნიადაგში ინფექტორის საშუალებით შეაქვთ. ქლორპიკრინი ნიადაგში შეტანილი უნდა იქნას სანერგეში ვაზის დარგვამდე ორი კვირით ადრე, ერთი ჰექტარი ფართობი ნიადაგის შესაწამლავად საჭიროა 400 კგ-მდე ქლორპიკრინი.

სხვა ავადმყოფობათა შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჭრაქს (მიღდიუმი), რომელიც აზიანებს ვაზის ყველა მწვანე ნაწილს (ყლორტს, ფოთოლს, პწყალს, ყვავილს და ნაყოფს).

ჭრაქის წინააღმდეგ წარმატებით გამოიყენება ბორდოს ერთპროცენტიანი ხსნარი. 100 ლიტრ წყალში გაიხსნება ერთი კილოგრამი სუფთა შაბიამანი და 700-800 გრამი ახალგამომწვარი ჩაუმქრალი ქვეყირი.

ხსნარის შესხურება ტარდება სპეციალური აპარატით და უალრესად გულდასმით, რომ არცერთი მწვანე ნაწილი არ დარჩეს შეუსხურებელი, განსაკუთრებით ფოთლის ქვედა მხარე.

წამლობის ვადები განისაზღვრება ვაზის ზრდა-განვითარებისა და ამინდის მიხედვით. დასავლეთ საქართველოს ტენიან პირობებში სანერგეში წამლობა უნდა ჩატარდეს ივლისის მეორე ნახევრამდე ყოველ 4-5 დღეში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კვირაში ერთხელ; ივლისის მეორე ნახევრის შემდეგ კი დასავლეთ საქართველოში კვირაში ერთხელ, აღმოსავლეთ საქართველოში 10-12 დღეში ერთხელ.

მევენახეობის დარგში მომუშავე ახალგაზრდები განსაკუთრებული სიტრონილით უნდა მოექიდონ სანერგიდან ნამყენი ნერგის



ამოლებას, მის დახარისხებას და შენახვა-გამზადებას მუდმივად დადგინდება კილტები დასარგავად.

სანერგედან ნამყენებს იღებენ უგეტაციის დასრულების შემდგებ, გვიან შემოღვიმაზე, ნოემბერში ნერგის ამოლება შეიძლება ხელით და მექანიზებული წესით — სპეციალური გუთნით (კილიფერი). ნიაღაგიდან ამოლებული ნერგი სამ ნაწილად ხარისხდება. პირველი ხარისხის ნამყენი ნერგი ეგზაგნება მევენახეობის ბრიგადის იმ ჯგუფს, რომელიც ვენახის გაშენებას აწარმოებს.

საქართველოს მევენახეობის რაიონების მოწინავე ახალგაზრდობა წარმატებით განახორციელებს სამშობლოსადმი მიცემულ პირობას, თუ მიაღწევს პირველხარისხოვანი ნერგის გამოსავლიანობის 60-70 პროცენტს.

გამ. „ახალგაზრდა ჭომუნისტა“ 1959 წ. 26 განხილვა

କାଶ୍ତକିଳିରେ ମଧ୍ୟଭେଲୀ ଗାମନଶ୍ଵରେ ଦିନାତ୍ମି—୩. ଡ୍ରୋହିଙ୍ଗେ

ଗାନ୍ଧାରୀ ଥାରମ୍ବନୀରେ 23/IV-1959 ଫୁଲ; ଶ୍ଵରମ୍ଭନାଥରେ ଦିନାତ୍ମିରେ 25/V-1959 ଫୁଲ; କାଲାଲଦିନ ନାମି 60X84;
ଅନ୍ତର୍ମଧ୍ୟରେ ନାମି 6X9.5; ସାରାମଧ୍ୟରେ
ଫୁଲମାତା ରାନ୍ଧେନାମି 2.5.

ପ୍ରାଚୀ 1 ମାତ୍ର.

ଟୋକ. № 561

ନଂ 02268

ମୁଠ. 11.200

ସାହୀ. କବି ପଦ୍ମ-ନାମ ଗାମନମତ୍ତେମଲାନାମି ନାମ. ମିଳନିକୁଳାନୀ ନାମ. ଉତ୍ତମମା
”ଶାରିକ ଶାରିକାରୀ” ନାମି ନାମି ନାମି ନାମି ନାମି 42.

